International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 4, Issue 2

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/XAZG6074

Small Business Development Promoting Mechanisms in Highly Developed Foreign Countries and Their Effect

Giga Pertia[1]
PhD student, Caucasus International University

A B S T R A C T

In the conditions of the modern market economy, small business has a very big role in improving the difficult socio-economic situation of any country. It contributes to the economic stability of the country by reducing the unemployment rate in the country and stimulating economic growth. Therefore, the development of small businesses in any country should be a priority, and modern and effective mechanisms for promoting their development should be introduced.

Statistical information published by different countries of the world revealed that more than half of enterprises with small business status carry out economic-entrepreneurial processes for a short period of time, and then stop functioning. Over time, worldwide, the financial stability of small businesses and the promotion of their development is increasingly a major concern.

The article discusses and analyzes the foreign experience of the introduction and implementation of mechanisms and measures supporting the development of small businesses. Based on statistical information published by international organizations, special attention is paid to the tax reforms/changes implemented and their effect in order to promote the development of small businesses in highly developed foreign countries. Based on all this, appropriate conclusions and recommendations have been prepared.

Keywords: *Small business, Promotion of small business development, Mechanisms of development.*

[1] giga.pertia@ciu.edu.ge

მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები უცხოეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში და მათი მოქმედების ეფექტი

გიგა პერტია
დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მცირე ბიზნესს ნებისმიერი ქვეყნის რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ძალიან დიდი როლი აკისრია. იგი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას, ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირებით და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებით. სწორედ, ყოველივე აქედან გამომდინარე, მცირე ბიზნესის განვითარება ნებისმიერ ქვეყანაში უნდა წარმოადგენდეს პრიორიტეტს და უნდა დაინერგოს მათი განვითარების ხელშემწყობის თანამედროვე და ეფექტური მექანიზმები.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ გამოქვეყნებულმა სტატისტიკურმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოების ნახევარზე მეტი სამეურნეო-სამეწარმეო პროცესებს ახორციელებს მცირე პერიოდით, შემდეგ კი წყვეტს ფუნქციონირებას. დროთა განმავლობაში, მსოფლიო მასშტაბით, მცირე ბიზნესის ფინანსური სტაბილურობა და მათი განვითარების ხელშეწყობა სულ უფრო მეტად წარმოადგენს მთავარ საზრუნავს.

სტატიაში განხილული და გაანალიზებულია მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების და ღონისძიებების შემოღებისა და დანერგვის უცხოური გამოცდილება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უცხოეთის განვითრებულ ქვეყანებში მცირე ბიზნესის განვითრების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელებულ საგადასახადო რეფორმებს/ცვლილებებს და მათი მოქმედების ეფექტს. ყოველივე ამის საფუძველზე, მომზადებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *მცირე ბიზნესი, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, განვითარების მექანიზმები.*

1. შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა. მცირე ბიზნესი, ნებისმიერ ქვეყანაში ითვლება ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისა და საზოგადოების დასაქმების გარანტად. ეკონომიკური ზრდა და უმუშევრობის დონის შემცირება თავის მხრივ, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების უპირველესი მიზნის მიღწევას, სიღარიბის დაძლევას. განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორი ძირითადად წარმოდგენილია დიდი რაოდენობით მცირე ბიზნესების სახით. ისინი გვხვდება ბიზნეს აქტივობების ფართო სპექტრში, დაწყებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი საწარმოებიდან, დამთავრებული მცირე საინჟინრო თუ პროგრამული უზრუნველყოფის ფირმებით. განვითარებულ ქვეყნებში, მცირე ბიზნესები ქმნიან მთლიანი სამეწარმეო სექტორის ბრუნვის დაახლოებით 50%-ს. გარდა ამისა, საერთაშორისო კვლევები მოწმობენ, რომ OECD-ის ქვეყნებში (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) საწარმოების 99%-ი არის მცირე ბიზნესის ტიპის და ქმნის მშპ-ს საშუალოდ 60%-ს (Ioseb Masurashvili; Günter Hofbauer;, 2020, pp. 1-2).

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მცირე ბიზნესის განვითარება და სახელწიფოს მხრიდან ეფექტური ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვა. ამ მხრივ, ქვეყანაში არსებულ საგადასახადო სისტემას და აღნიშნული კუთხით შემუშავებულ რეფორმებს შეუძლია მცირე ბიზნესების საქმიანობაზე და მისი ფუნქციონირების მექანიზმებზე ძალიან დიდი გავლენის მოხდენა. სწორედ ამიტომ, უნდა განხორციელდეს თითოეული საგადასახადო საკანონმდებლო ცვლილების დეტალური ანალიზი და ეტაპობრივი მონიტორინგი (იზა ბუკია;, 2019, გვ. 1).

კვლევითი ნაშრომის **მიზანს** წარმოადგენს უცხოეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის განვითრების ხელშეწყობისთვის, არსებული მექანიზმების დადგენა და მათი მოქმედების ეფექტის განსაზღვრა.

სტატია შედგება ერთი თავისა და სამი ქვეთავისგან. მას თან დაერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. სტატია განიხილავს უხოეთის განვითარებულ ქვეყნებში (გერმანია, დიდი ბრიტანეთი და აშშ), მცირე ბიზნესის განვითრების სამთავრობო ხელშემწყობის მექანიზმებს და მათი მოქმედების ეფექტს. ასევე განიხილავს მცირე ბიზნესის როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკაში.

კვლევისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია და მასალები - კვლევის დასახული მიზნების მისაღწევად სტატიაში გამოყენებულია შემდეგი ძირითადი მეთოდები: მონაცემთა შეგროვების, დაჯგუფების, სტატისტიკური ანალიზის და ინდუქციის და დედუქციის

მეთოდები. ასევე, რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. პირველ რიგში მოხდა მონაცემთა მოპოვება და შეგროვება, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროებიდან. შემდეგ მოხდა მისი დაყოფა ქვესაკითხებად და დაჯგუფება (კლასიფიკაცია) კვლევის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე და ამის შემდეგ კი, შეფასდა და გაანალიზდა თითოეული მონაცემი. ინდუქციის მეთოდის გამოყენებით, ჩემს საკვლევ თემასთან დაკავშირებით მივიღე ძირითადი დასკვნები ცალკეული ფაქტების თუ მონაცემების შესწავლის და გაანალიზების საფუძველზე. აღნიშნული მეთოდის გამოყენების მიზანს წარმოადგენდა კვლევის ობიექტებსა და მოვლენებს შორის ემპირიული კავშირების დადგენა. დედუქციური მეთოდის გამოყენებამ კი, საშუალება მომცა ჩემს საკვლევ თემასთან დაკავშირებით, მოპოვებული ზოგადი ინფორმაციიდან, გამომეტანა სწორი დასკვნები, გამომეყო საერთო პრინციპები და კანონები, რომლებიც შეცდომის დაშვების რისკს მინიმუმამდე შეამცირებდა. აღნიშნული კვლევის მეთოდი დამეხმარა კონკრეტული მოვლენის ფაქტობრივი სინამდვილის დადგენაში. და ბოლოს, რაოდენობრივი კვლევის განხორციელების დროს, მოხდა 2019 წლიდან 2024 წლის ჩათვლით, სტატისტიკური მონაცემების მოძიება, მისი შეფასება, პროცენტული მაჩვენებლების/ხვედრითი წილების გამოთვლა და შედარება წინა საბაზისო წლებთან. ბოლოს კი, მიღებული/მოძიებული რაოდენობრივი მონაცემების ინფორმაციულში გარდაქმნა და შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციების მომზადება. რაოდენობრივი კვლევის განხორციელების მიზანი იყო მოძიებული ინფორმაციის რიცხობრივი მაჩვენებლებით გამყარება, ურთიერთშედარება და ამ მხრივ მისი სანდოობის კიდევ უფრო ამაღლება.

რაოდენობრივი კვლევის განხორციელების დროს, ბუნებრივია, შევხვდით გარკვეულ სირთულეებს და წინაღობებს. მაგალითად, ყველა საჭირო სახის სტატისტიკური მონაცემები ვერ მოვიპოვეთ. ასევე, არასანდო წყაროებიდან არასწორი ინფორმაციის მოპოვებით კვლევის დამახინჯება. თუმცა, აღნიშნული რისკის აღმოსაფხვრელად გადავამოწმეთ ის თუ, რამდენად მაღალ რეიტინგულ ჟურნალ-გაზეთში იყო აღნიშნული სტატია გამოქვეყნებული და როგორია აღნიშნული ჟურნალ-გაზეთის ციტირების ინდექსი. სტატისტიკური მონაცემების შემთხვევაში, არასწორი ინფორმაციის მოპოვებისგან თავის დასაცავად შევეცადეთ მაჩვენებლების ციტირება მოგვეხდინა მხოლოდ კვლევის ობიექტი ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკური სამსახურების ვებ-გვერდებიდან, ან სანდოობის მაღალი ხარისხის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული რეპორტებიდან.

სტატიაში გამოყენებულია მცირე ბიზნესის განვითარების მექანიზმებთან დაკავშირებით, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, ექსპერტთა მოსაზრებები, სხვადასხვა ქართული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ დასკვნები და რეკომენდაციები, პუბლიკაციები, პერიოდული გამოცემები და ინტერნეტ-რესურსები. სტატია ასევე, ეფუძნება სტატისტიკას და რეპორტებს სხვადასხვა საერთაშორისო

ორგანიზაციიდან, როგორიცაა: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭო (FRB), ბიზნესისა და ვაჭრობის დეპარტამენტი (DBT), ევროპული კომისია (EC), საერთაშორისო სავაჭრო ადმინისტრაცია (ITA), აშშ მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (U.S SBA), თეთრი სახლი, ვაშინგტონი და მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG).

2. მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი მექამიზნების უცხოური გამოცდილება

მცირე ბიზნესები ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი, განვითარებად ქვეყნებში ძალიან დიდ როლს თამაშობენ. ისინი მთელ მსოფლიოში კერძო სექტორის უმეტესობას იკავებენ და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნაში უმეშევრობის დონის შემცირებაში (განვითარებად ქვეყნებში ფორმალური სამუშაო ადგილების უმეტესობა გენერირდება სწორედ მცირე ბიზნესების მიერ, რომლებიც დაახლოებით 10 სამუშაო ადგილიდან ქმნიან 7-ს. თუმცა, ძირითადად განვითრებად ქვეყნებში, მცირე ბიზნესის ზრდის და განვითრების ერთ-ერთი ყველაზე შემაფერხებელი ფაქტორია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა), სიღარიბის დონის დაძლევაში და მთლიანი შიდა პროდუქცის ზრდაში. ისინი ქვეყნების უმეტესობაში წარმოადგენენ კერძო ბიზნესების დაახლოებით 90%-ს და დასაქმების 50%-ზე მეტს მთელ მსოფლიოში. მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2030 წლისთვის, საჭირო იქნება 600 მილიონი სამუშაო ადგილი, მზარდი გლობალური სამუშაო ძალის შესათვისებლად, რაც მცირე ბიზნესის განვითარებას დიდ პრიორიტეტად აქცევს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისთვის (World Bank Group, 2019, გვ. 1).

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოებს საბანკო სესხების მიღების შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ მსხვილ საწარმოებთან/კომპანიებთან შედარებით. ქვეყნების უმეტესობაში დამწყები მცირე მეწარმეები საქმიანობის წამოწყებისთვის ძირითადად ეყრდნობიან შიდა ფულად სახსრებს, ნაღდ ფულს მეგობრებისა და ოჯახისგან, რათა წამოიწყონ და თავდაპირველად მართონ თავიანთი საწარმოები. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიმდინარე შეფასებით 65 მილიონ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოების 40%-ს განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად აქვთ 5.2 ტრილიონი აშშ დოლარის დაუკმაყოფილებელი საჭიროება. გლობალურად მცირე ბიზნესის დაკრედიტების საკითხში, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნები ყველაზე მეტად განიცდიან ფინანსური სახსრების ნაკლებობას, პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 46%. შემდეგ მას მოსდევს ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის ქვეყნები 23%-ით და ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნები 15%-ით (World Bank Group, 2019, p. 1).

მსოფლიო ბანკის შეფასებით, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, მცირე ბიზნესის განვითარებას ხელს მნიშვნელოვნად შეუწყობს ისეთი ინიციატივების განხორციელება

როგორიცაა: ხელსაყრელი გარემოს შექმნა, საკრედიტო გარანტიის სქემების შემუშავება და ჩამოყალიბება; საკრედიტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რამაც შეიძლება შესაძლებელი გახადოს მცირე ბიზნესებისთვის ფინანსებზე უფრო დიდი ხელმისაწვდომობა; ინოვაციების დანერგვა მცირე ბიზნესის დაფინანსებაში, მაგალითად, როგორიცაა: ელექტრონული დაკრედიტების პლატფორმები, ალტერნატიული მონაცემების გამოყენება საკრედიტო გადაწყვეტილების მისაღებად, ელექტრონული ინვოისის შედგენა, ელექტრონული ფაქტორინგი და მიწოდების ჯაჭვის დაფინანსება; სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება და ა.შ (World Bank Group, 2019, გვ. 1-2).

2.1. მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების გერმანული გამოცდილება

გერმანია ევროპის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყანაა. იგი მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების კუთხითაც გამორჩეულია მთელს ევროპაში. რადგან გერმანიის ეკონომიკური ზრდა სწორედ მცირე ბიზნესების წარმატებაზეა დიდწილად დამოკიდებული, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადავწყვიტე კვლევაში აუცილებლად ჩამერთო აღნიშნული ქვეყანა და სიღრმისეულად შემესწავლა მისი მხრიდან მცირე ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობისა და მხარდაჭერის მექანიზმები, რომლითაც იგი მთელ ევროპაში უპირობო ლიდერია.

მიმდინარე სტატისტიკური მონაცემებით, გერმანული ფირმების 99.6 პროცენტს მცირე ბიზნესის სტატუსი აქვს მინიჭებული. მათ შექმნეს სამუშაო ადგილების დაახლოებით 58.5%, სადაც ყველა თანამშრომელს ჰქონდა დამსაქმებლის მხრიდან სოციალური დაზღვევა. მიმდინარე პერიოდისთვის, გერმანიაში, კერძო ბიზნესის სახით რეგისტრირებული კომპანიების ჯამური გაყიდვების 35.3% სწორედ მცირე ბიზნესზე მოდის (ნათია კურდღელია, 2020, გვ. 86).

გერმანიის მოქმედი კანონმდებლობით, მცირე ბიზნესი განიმარტება, როგორც საწარმოები/ფირმები, რომლებსაც ჰყავს 250 თანამშრომელზე ნაკლები დასაქმებული, ან ერთი სრული კალენდარული წლის განმავლობაში, მათი წლიური ბრუნვა შეადგენს 50 მილიონ ევრომდე. მეწარმეების ინტერესების დაცვის მიზნით, გერმანიაში უკვე წლებია მოქმედებს სახელმწიფო სავაჭრო და ინდუსტრიული პალატები, რომელშიც ყველა მცირე ბიზნესების სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის გაერთიანებაა სავალდებულო. ზემოაღნიშნული პალატები აქტიურად მონაწილეობენ მცირე ბიზნესის რეგულირების სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების წარმართვაში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიუჯეტის ფორმირების თუ ინდუსტრიის განვითარების პროცესები. გარდა ამისა, გერმანიაში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამათა რიცხვი ძალიან დიდია და მასში გაერთიანებულია ფედერალური თუ რეგიონალური მნიშვნელობის 500-ზე მეტი პროგრამა. მათ შორის აღსანიშნავია, სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამა გერმანიის იმ რეგიონებისთვის, სადაც მიმდინარე მდგომარეობით, ყველაზე ცუდი სიტუაციაა მცირე ბიზნესის წამოწყების თუ განვითარების

თვალსაზრისით. აღნიშნული პროგრამის მიზანია, რომ მსგავსი ტიპის რეგიონებში მოხდეს მეწარმეობის წახალისება, რომელსაც ჩემი აზრით, დადებითი მოქმედების ეფექტი ექნება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე (ნათია კურდღელია, 2020, გვ. 86-87); (ჰანსიორგ ჰერი; ზეინეპ მ. ნეტეკოვენი;, 2019, გვ. 11-30).

მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნებიდან გამომდინარე, გერმანიის მთავრობის ხელშეწყობის პროგრამა ასევე მოიცავს, უკვე არსებული/მოქმედი საწარმოების და მომავალში აღნიშნული საქმიანობის წამოწყებით დაინტერესებული ყველა სუბიქტისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე ინფორმაციის მიწოდებას. მათი სწორად გამოყენებისთვის, ტექნიკურ საკითხებში კონსულტაციებს, ტრენინგ კურსებს, რომელთაც სპეციალურად შექმნილი დამსაქმებელთა ასოციაციები ახორციელებენ. გერმანიის კერძო ბიზნესის სექტორის განვითრების მიზნის მისაღწევად, მთავრობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ასევე ხორციელდება მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ურთიერთთანამშრომლობისთვის, თანამედროვე პროექტების შექმნა და უზრუნველყოფა, რათა მოხდეს მათი მხრიდან, ერთმანეთისთვის ცოდნის, გამოცდილების, რჩევების და რეკომენდაციების გაზიარება. ამ მხრივ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გერმანია ,,თანამშრომლობითი კონკურენციის“ ერთ-ერთ ყველაზე კარგ მაგალითს წარმოადგენს მთელს ევროპის რეგიონში (OECD, 2024, გვ. 9).

მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის პროგრამაში ასევე მოიაზრება: შეღავათიანი დაკრედიტების პროგრამები, რომელიც გამოირჩევა კრედიტის დაბალი საპროცენტო განაკვეთით, ასევე ფულადი სახსრების გაცემა ხანგრძლივვადიანი პერიოდით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველაზე ცოტა პირველი ორი წელიწადი, საწარმოები განთავისუფლებული არიან გადასახადის გადახდისგან და აღნიშნულ პროგრამაში ჩართული საწარმოები ასევე ნაწილობრივ თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგანაც, რითაც ხელი ძალიან ეწყობა საწარმოს სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობის კარგად გამართვას და ფუნქციონირებას. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის განხორციელების შედეგად, მცირე და საშუალო საწარმოები მარტივად შეძლებენ სამეურნეო ეკონომიკური საქმიანობის დაწყების საწყისი/რთული ეტაპის გადალახვას. ყოველივე ამას მოწმობს სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც, საქმიანობის დაწყებიდან პირველ წელს გაკოტრებული საწარმოების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა წინა საანგარიშო წლებთან შედარებით (ნათია კურდღელია, 2020, გვ. 87).

მცირე ბიზნესი გერმანიაში ეკონომიკის ხერხემალს და საზოგადოების ცენტრალურ საყრდენს წარმოადგენს. თუმცა, სავსებით ბუნებრიავია, რომ აქაც ვხვდებით მრავალ დაბრკოლებას და სირთულეს. მათ შორის აღსანიშნავია: გარე ეკონომიკური განვითარება, კვალიფიციური თანამშრომლების დეფიციტი, მზარდი ბიუროკრატია, მცირე ბიზსენების რაოდენობის ზრდით შესაძლოა შეიქმნას გარემოსდაცვითი საფრთხეები ა.შ. მაგრამ ზემოაღნიშნული ბიზნესის სტრატეგიით და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებით, მთავრობა მაქსიმალურად ცდილობს, ყველა დაბრკოლების დაძლევას (Ioseb Masurashvili; Günter Hofbauer;, 2020, გვ. 19).

გერმანიის მთავრობის ძირითადი მიგნებები მცირე ბიზნესებთან დაკავშირებით შემდგომში მდგომარეობს:

- ✓ შემუშავებულია ისეთი სახის პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის მარტივად ხელმისაწვდომობას მასშტაბურ დაფინანსებაზე (ფინანსურ რესურსებზე), INVEST გრანტი, Kreditanstalt für Wiederaufbau კაპიტალი, ევროპის საინვესტიციო ფონდთან თანამშრომლობით (European Investment Fund (EIF) მიღებული კაპიტალი, Zukunftsfonds (მომავლის ფონდი), მაღალტექნოლოგიური Gründerfonds (HTGF) და Micro-Mezzanine ფონდი (Organisation for Economic Co-operation and Develop, 2024, pp. 143-146).

- ✓ დამწყებთათვის საქმიანობის სტაბილურად წარმართვის მიზნით სხვადასხვა სახის ხელშეწყობის პროგრამების შემოღება და დანერგვა, მათ შორის, განათლების დონის ამაღლების პროგრამების. სპეციალური დამსაქმებლთა ასოციაციების და ფედერაციების შექმნა დამწყები მეწარმეების კვალიფიკაციის და განათლების დონის ამაღლების მიზნით. ასევე, ფოკუსირება კვლევასა და განვითარებაზე.

- ✓ ფინანსური პოლიტიკის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს ინოვაციას, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდის ერთ-ერთ ყველზე მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას.

- ✓ სოციალური კაპიტალი და მზარდ ცოდნაზე დაფუძნებული, გლობალურად ინტეგრირებული ეკონომიკა (OECD, 2024, pp. 46-47); (ჰანსიორგ ჰერი; ზეინეპ მ. ნეტეკოვენი;, 2019, გვ. 11-30);

როგორც 2024 წლის დასაწყისში, სტატისტიკური მონაცემების შეფასებით დადგინდა, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მცირე და საშუალო ბიზნესმა დასაქმების 0.5%-იან ზრდა გვიჩვენა. ხოლო, მცირე და საშუალო ბიზნესის დამატებული ღირებულება გაზრდილია 3.8%-ით. აღნიშნული მაჩვენებლები მოწმობს იმას, რომ გერმანიაში განხორციელებულმა საგადასახადო პოლიტიკამ არა მხოლოდ მცირე ბიზნესების განვითარებას შეუწყო ხელი, არამედ, უმუშევრობის დონეც შეამცირა და გაზარდა მცირე კერძო ბიზნეს სექტორის დამატებული ღირებულებაც (European Comision, 2024, p. 1).

ცხრილი №1: გერმანიის კერძო ბიზნეს სექტორში მოქმედი საწარმოების, დასაქმებულთა რაოდენობა და მათი დამატებული ღირებულება.

	საწარმოები		**დასაქმებულები**		**დამატებული ღირებულება**	
	რაოდენობა	ხვედრითი წილი	რაოდენობა	ხვედრითი წილი	მილიარდი ევრო	ხვედრითი წილი
მიკრო (0-9 თანამშრომელი	2 209 771	84.0%	6 089 818	19.8%	458.8	17.4%
მცირე (10-49 თანამშრომელი)	356.286	13.5%	6 858 813	22.3%	453.7	17.2%
საშუალო (50-249 თანამშრომელი)	53 694	2.0%	5 296 396	17.2%	413.5	15.7%
მთლიანი მცირე ბიზნეს სექტორი (თანამშრომელი 0-249	**2 619 751**	**99.6%**	**18 245 027**	**59.2%**	**1 325.9**	**50.3%**
მსხვილი ბიზნესი (250+ თანამშრომელი)	**10 697**	**0.4%**	**12 570 249**	**40.8%**	**1 308.6**	**49.7%**

*(**წყარო:** European Commission, 2024 წლის მცირე და საშუალო ბიზნესის ქვეყნის ფაქტები).*

ცხრილი №1 არის დასტური იმისა, თუ როგორი გავლენის მოხდენა შეუძლია მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორს დასაქმებასა და უმუშევრობის დონეზე. აღნიშნული ცხრილის თანახმად, გერმანიის კერძო ბიზნეს სექტორში რეგისტრირებული საწარმოების 99.6%-ი წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესს, ხოლო, კერძო ბიზნეს სექტორის 59.2%-ი დასაქმებულია სწორედ მცირე და საშუალება ბიზნესში, რაც კიდევ უფრო ამყარებს იმ აზრს, რომ მცირე ბიზნესი წარმოადგენს გერმანიის ეკონომიკის ერთგვარ ქვაკუთხედს და მისი გავლენა დასაქმებაზეც ძალიან დიდია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანიაში უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა საგადასახადო რეფორმებმა, რომელიც მიმართული იყო მცირე ბიზნეს სექტორის განვითარებაზე, დადებითად იმოქმედა, ქვეყანაში გაიზარდა მცირე ბიზნეს სექტორში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა და ამის პარალელურად, შესაბამისად, გაიზარდა დასაქმების მაჩვენებელი.

გერმანიის მაგალითიდან სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც ადგილად შესაძლებელია ისეთი პროგრამების და პროექტების დანერგვა, როგორიცაა: ,,თანამშრომლობითი კონკურენციის“ მაგალითი, რომლის მიხედვითაც, მთავრობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ურთიერთთანამშრომლობისთვის თანამედროვე პროექტების შექმნა და უზრუნველყოფა, რითაც ხდება მათი მხრიდან, ერთმანეებისთვის ცოდნის, გამოცდილების,

თუ რჩევების და რეკომენდაციების გაზიარება. გარდა ამისა აღსანიშნავია საგანმანათლებლო პროექტები და ტრენინგ კურსები მეწარმეების კვალიფიკაციის ამაღლების და სწორი სამეწარმეო გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, გრანტები, სუბსიდიები და ა.შ.

2.2. მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, დიდი ბრიტანეთის გამოცდილება

დიდი ბრიტანეთის დამოკიდებულება მცირე ბიზნესთან მიმართებაში, ძალიან განსხვავდება ევროპის სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნებისგან. მისი განსხვავებული დამოკიდებულება განპირობებულია გასული საუკუნის მიწურულს, ეკროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო ბაზარზე დიდი ბრიტანეთის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი კლებით. სწორედ აქედან გამომდინარე, დიდი ბრიტანეთის მთავრობისთვის პრიორიტეტი გახდა ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის ზრდა-განვითარება. ამისათვის მან შექმნა სპეციალური სამთავრობო ორგანო, ''მცირე ბიზნესის მომსახურების სააგენტო'', რომლის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობა იყოს ის, რომ ჩამოეყალიბებინა მცირე ბიზნესის ზრდა-განვითრების მიმართულებები და ხელშემწყობი მექანიზმები/პროგრამები. დიდ ბრიტანეთში მცირე ბიზნესის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ განმარტებას ვერ ვიპოვით, რადგანაც იგი არ არსებობს. ბრიტანეთში, მცირე და საშუალო ბიზნესს მიეკუთვნებიან საწარმო-კომპანიები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 0-დან 250-მდე. ხოლო წლიური საერთო ბრუნვა კი, 21.2 მილიონ დოლარამდე. კვლევაში დიდი ბრიტანეთის ჩართვა გადავწყვიტე იქიდან გამომდინარე, რომ ევროპის კონტინენტზე გერმანიის მსგავსად, დიდმა ბრიტანეთმაც დანერგა უამრავი ინოვაციური და ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა მცირე ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობის კუთხით. შექმნილია უამრავი ფონდი, რომელიც უშუალოდ მიმართულია მცირე ბიზნესების დაფინანსებისთვის და ა.შ (ნათია კურდღელია, 2020, გვ. 88-89).

''ბიზნესისა და ვაჭრობის დეპარტამენტის'' 2023 წლის ოქტომბრის თვეში გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, დიდ ბრიტანეთში 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფუნქციონირებდა 5.6 მილიონი კერძო ბიზნესი. ეს მაჩვენებელი, წინა საანგარიშო წელთან შედარებით გაზრდილია 0.8%-ით. 2020 წლის შემდეგ, ეს იყო პირველი წელი, როდესაც ბიზნესების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა. 2010-დან 2023 წლამდე, ბიზნეს მოსახლეობა გაზრდილია 1,1 მილიონით (24%-ით)(House Of Commons Library & Georgina Hutton, 2024, p. 4); (Department for Business and Trade, 2023, გვ. 1).

დიაგრამა №1. კერძო ბიზნეს სექტორის ზრდა/კლება დიდ ბრიტანეთში (2000-2023 წწ.)



*(**წყარო:** "Department for Business and Trade". ბიზნეს მოსახლეობის შეფასება, ოქტომბერი, 2023წ.)*

როგორც დიაგრამა №1-დან ჩანს, გრძელვადიან პერსპექტივაში 2000 წლიდან, დიდ ბრიტანეთში კერძო ბიზნეს სექტორში რეგისტრირებული საწარმოების მთლიანი რაოდენობა გაზრდილია 60%-ით, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია და იგი აღნიშნული მაჩვენებლით არ ჩამორჩება ევროპის სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებს. თუმცა. 2020 წლის იანვრის მაჩვენებელზე 7.1%-ით დაბალია, რაც კოვიდ პანდემიის ზეგავლენით არის განპირობებული (Department for Business and Trade, 2023, p. 1).

ცხრილი №2. კერძო ბიზნეს სექტორი დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული საწარმოების, დასაქმებულთა რაოდენობის და ბრუნვის მიხედვით.

	ბიზნესები (ათასი)	დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი)	ბრუნვა (მილიარდი ფუნტი სტერლინგი)	ბიზნესები (%)	დასაქმებულთა რაოდენობა (%)	ბრუნვა (%)
მიკრო (0-9 თანამშრომელი)	5,287	8,773	923	95%	32%	21%
მცირე (10-49 თანამშრომელი)	223	4,346	670	4%	16%	15%
საშუალო (50-249 თანამშრომელი	37	3,596	763	0.9%	13%	17%
დიდი (250+ თანამშრომელი)	8	10,809	2,124	0.1%	39%	47%
სულ ყველა ბიზნესი	**5,555**	**27,524**	**4,480**	**100%**	**100%**	**100%**

*(**წყარო:** "Department for Business and Trade". ბიზნეს მოსახლეობის შეფასება, ოქტომბერი, 2023 წ).*

ცხრილი №2-ის შეფასებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული ბიზნესების 99.9% წარმოადგენს, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს. კერძო ბიზნესში დასაქმებული საზოგადოების მთლიანი რაოდენობის 61% დასაქმებულია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებში და დიდ მსხვილ ბიზნესთან შედარებით მათი ჯამური წლიური ბრუნვის პროცენტული მაჩვენებელიც მეტია. სხვაობა 6%-ს შეადგენს. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს დიდი ბრიტანეთის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი უჭირავს (House Of Commons Library & Georgina Hutton, 2024, გვ. 12).

დიაგრამა №2. მცირე და საშუალო კერძო ბიზნეს სექტორის შედარება მთლიან ბიზნეს სექტორთან დიდ ბრიტანეთში (2010 წლის და 2019-2023 წლების მაჩვენებლები, ათას ლარებში).



	2010	2019	2020	2021	2022	2023
მთლიანი კერძო სექტორი	4.48	5.86	5.98	5.59	5.5	5.55
მთლიანი მცირე ბიზნეს სექტორი	4.47	5.86	5.97	5.58	5.5	5.54

*(**წყარო:** "Department for Business and Trade". ბიზნეს მოსახლეობის შეფასება, ოქტომბერი, 2023 წ).*

დიაგრამა №2-ი ნათლად ასახავს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს მცირე ბიზნესის განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას დიდ ბრიტანეთში. მათი წილი ქვეყნის მშპ-ში ძალიან დიდია. აღნიშნული დიაგრამიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010 წელთან შედარებით, საგრძნობლად, დაახლოებით 1.07 მილიონით არის გაზრდილი ქვეყანაში რეგისტრირებული საწარმოების რიცხვი და ასეთივე მაჩვენებელი შეინიშნება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების შემთხვევაშიც. თუმცა, ყველაზე კარგი მაჩვენებელი 2020 წელს დაფიქსირდა 5.98 მილიონი, მცირე ბიზნეს სექტორის შემთხვევაში 5.97 მილიონი. შემდგომ პერიოდში კოვიდ პანდემიის გავლენამ და გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გამოსვლამ დიდი გავლენა მოახდინა აღნიშნულ მაჩვენებელზე და დღემდე ვერ მიუახლოვდა 2020 წლის საუკეთესო მაჩვენებელს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს მზარდი მაჩვენებელი იყო, 2022 წელთან შედარებით, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერას ახორციელებს: დაკრედიტებით, კაპიტალის ინვესტიციის მეშვეობით და არაფინანსური მხარდაჭერით. მიმდინარე მდგომარეობით, მოქმედებს ხელშეწყობის 30-მდე სახელწიფო პროგრამა. დაკრედიტების პროგრამაში (იგივე მთავრობის Start Up სესხების სქემა) აქტიურად არის ჩართული მოქმედი კომერციული ბანკები. ისინი აფინანსებენ ისეთ მეწარმეებს, ან პოტენციურ მეწარმეებს, რომლებსაც კრედიტის აღების შესაძლებლობა არ აქვთ საკუთარი ძალებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს კრედიტორის წინაშე, დათქმულ ვადაში, კრედიტის თანხის სრულად დაბრუნებას, ბრიტანეთის მთავრობა უზრუნველყოფს გადაუხდელი კრედიტის დეფოლტის 70%-ს, ხოლო, ისეთ ტერიტორიაზე სადაც ბიზნესის კეთების ყველაზე ცუდი ტენდენციაა, სხვადასხვა რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე, 85%-ს. ამ მხრივ, სახელწიფო ეხმარება როგორც მეწარმეებს, ასევე კრედიტორ ორგანიზაციებს, რომ მათაც არ ჰქონდეთ დანაკარგები. ასევე, განსაზღვრულია სპეციალური სესხის პროგრამა იმ საწარმოებისთვისაც, რომელთაც სხვადასხვა რიგი მიზეზებიდან გამომდინარე, შეჩერებული აქვთ მცირე ბიზნესის სტატუსი და აღარ ახორციელებენ საქმიანობას. მათთვის სპეციალური სესხის პროგრამა ე.წ ''აღდგენის სესხის სქემა'' უზრუნველყოფს ფულადი სახსრების მიწოდებას შეღავათიან საპროცენტო განაკვეთში (ნათია კურდღელია, 2020, გვ. 89-90); (Sarah Pepin, House Of Commons Library, April, 2024, pp. 5-17).

გარდა ამისა, მოქმედებს კაპიტალის ინვესტიციის მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც გულისხმობს ბიზნესის კაპიტალის გაზრდას მისი აქციების გაყიდვით არსებულ აქციონერებზე ან ახალ ინვესტორებზე. კაპიტალის ინვესტიციის მხარდამჭერი პროგრამის ყველაზე გავრცელებული სახეობაა: მისი უდიდებულესობის შემოსავლები (გაერთიანებული სამეფოს ეროვნული საგადასახადო ორგანო, რომელიც აგროვებს პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს და ახორციელებს საგადასახადო კრედიტის გადახდას რეზიდენტებისთვის) და საბაჟო საწარმოო სქემები. აღნიშნული სქემები შექმნილია მცირე და საშუალო ბიზნესის გასაძლიერებლად და მეწარმეობის წასახალისებლად, რომელიც სთავაზობს საგადასახადო შეღავათებს ფიზიკურ პირებს, რომლებიც ყიდულობენ და ფლობენ ახალ აქციებს, ობლიგაციებს, ან აქტივებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მეორე, ასევე მნიშვნელოვანი პროგრამაა ''მეწარმეთა კაპიტალის ფონდები'', რომელიც ეხმარება მეწარმეებს კაპიტალის შეგროვებაში. იგი გულისხმობს, ფონდის პერსპექტიული მენეჯერების მხრიდან დახმარებას დამწყები ან უკვე მოქმედი მეწარმეებისთვის. კოვიდ პანდემიის პერიოდში კრიზისული სიტუაციის მარტივად დაძლევის მიზნით მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ნაწილში ამოქმედდა სპეციალურად შექმნილი მხარდამჭერი ფონდებიც. მათგან გამოირჩევა ''ბრექსიტი''-ის მხარდამჭერი ფონდი (''Brexit''), რომელიც 2021 წლის თებერვლიდან ივნისის თვემდე

ფუნქციონირებდა. იგი ეხმარებოდა კერძო ბიზნეს სექტორს იმპორტის და ექსორტის პროცედურების წარმართვაში (Sarah Pepin, House Of Commons Library, April, 2024, გვ. 22-28).

ზემოაღნიშნულ რეფორმებს ბუნებრივია, დადებითი მოქმედების ეფექტი ჰქონდა დიდ ბრიტანეთში, არა მხოლოდ მცირე ბიზნეს სექტორის განვითარების თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკის განვითარების კუთხითაც. ყოველივე ამის დასტურია, კოვიდ პანდემიის, ამ უდიდესი კრიზისური პერიოდის გავლენის მიუხედავად, მაინც მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება, მაჩვენებლების, რომლებიც მოცემულია დიაგრამა №1-სა და დიაგრამა №2-ზე.

როგორც გერმანიაში, ასევე დიდ ბრიტანეთშიც, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეწარმეების, თუ პოტენციური მეწარმეების განათლების დონის/კვალიფიკაციის ამაღლებას. სწორედ აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, სახელმწიფომ შეიმუშავა არაფინანსური დახმარების პროგრამები. დამწყები, თუ უკვე მოქმედი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისთვის იმართება უამრავი საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები, ტრენინგ კურსები, მათ შორის: ლიდერობის და მართვის ტრენინგ კურსი, ინდივიდუალური მენტორინგი. ამისათვის შექმნილია: მცირე ბიზნესის ქარტიით აკრედიტებული ბიზნეს სკოლები, ''მეწარმეობის სოციალურად ორიენტირებული დაწესებულება, მცირე ბიზნესის განვითარების სპეციალური დაწესებულება და ტექნოპარკი. მცირე მეწარმეებისთვის ვრცელდება სპეციალური საგადასახადო შეღავათებიც, მაგალითად, ისეთი საწარმოებს, რომელთა წლიური შემოსავლების ოდენობა არ აღემატება 15 000 ფუნტ სტერლინგს, შეუძლიათ საგადასახადო ორგანოში წარმოადგინონ გამარტივებული დეკლარაცია. ასევე, მცირე ბიზნესები განთავისუფლებულია წინასწარი გადასახადებისგან“ (ნათია კურდღელია, 2020, გვ. 89-90).

2022 წელს, გაერთიანებულ სამეფოში, კერძო ბიზნეს სექტორში კოვიდ პანდემიის ზეგავლენა შემცირდა, მაგრამ წარმოიშვა ახალი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადგა მთელი გლობალური ეკონომიკა. ახალმა სირთულემ, რომელიც გამოწვეულია რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ დაფინანსების გამოყენებაზე ძალიან დიდი ზეგავლენა იქონია. კერძოდ, ომმა ხელი შეუწყო საბანკო სესხების შეტანის ხარჯების მკვეთრ ზრდას. აღნიშნულმა კი, შემდგომში გამოიწვია ინფლაციის მაჩვენებლის მაღალი დონე, რის გამოც დიდი ბრიტანეთის კომერციულმა ბანკებმა საბანკო განაკვეთები საგრძნობლად გაზარდეს. ომმა ასევე გაზარდა გაურკვევლობის ხარისხი დიდი ბრიტანეთისა და სხვა ძირითადი ეკონომიკების პერსპექტივის შესახებ (Organisation for Economic Co-operation and Develop, Financing SMEs and Entrepreneuers 2024 (An OECD Scoreboard), 2024, pp. 220-222).

ისეთი ხელშეწყობის მექანიზმების/პროგრამების გამოყენება, როგორიც დიდმა ბრიტანეთმა გამოიყენა ქვეყანაში რეგისტრირებული მცირე ბიზნესების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ძირითადად მორგებულია მაღალგანვითარებული ქვეყნებზე, რადგან განვითარებად ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში, სამწუხაროდ, სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ გაწვდება ყველა მსგავსი პროექტის დაფინანსებას, განსაკუთრებით პროექტის, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთის მთავრობა უზრუნველყოფს გადაუხდელი კრედიტის დეფოლტის 70%-ს, ხოლო ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ბიზნესის კეთების ყველა ცუდი ტენდენციაა, რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე, 85%-ს. ამ მხრივ, სახელწიფო ეხმარება, როგორც მეწარმეეებს, ასევე კრედიტორ ორგანიზაციებს, რომ მათაც არ ჰქონდეთ დანაკარგები.

თუმცა, არის პროგრამები, რომლებიც კარგად მორგებული იქნება და ვფიქრობ, რომ დადებითი მოქმედების ეფექტი ექნება სხვა, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაშიც. მაგალითად ასეთ პროგრამად შეიძლება მოვიაზროთ: ''მეწარმეთა კაპიტალის ფონდები'', რომელიც ეხმარება მეწარმეებს კაპიტალის შეგროვებაში. სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომელიც დამწყებ, ან პოტენციურ მეწარმეებს დაეხმარებათ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების მიღებაში. ამ მხრივ კი, მნიშვნელოვნად შემცირდება მეწარმეების მხრიდან არასწორი გადაწყვეტილებების მიღებით საწარმოების დაარსებიდან მალევე გაკოტრების და ლიკვიდაციის რისკი.

2.3. მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები აშშ-ში (''ბაიდენ-ჰარისის მცირე ბიზნესის ბუმი'')

აშშ-ს მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, ტერმინ მცირე ბიზნესს, განსაზღვრავს, როგორც ორგანიზაციას, სადაც 500-ზე ნაკლები თანამშრომელია დასაქმებული და მისი წლიური შემოსავალი მერყეობს 1 მილიონი დოლარიდან 40 მილიონ დოლარამდე. აღნიშნული ქვეყანა კვლევაში ჩავრთე იქედან გამომდინარე, რომ კოვიდ პანდემიის პერიოდში, მცირე ბიზნესის გაკოტრებისგან და ლიკვიდაციისგან დასაცავად, აშშ-ს მთავრობა შეიმუშავა უამრავი მექანიზმი, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია როგორც ''ბაიდენ-ჰარისის მცირე ბიზნესის ბუმი''. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მცირე ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით აშშ უპირობო ლიდერია მთელს მსოფლიოში.

მცირე ბიზნესს, აშშ-ს ეკონომიკაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი კომპანიები უფრო მეტ ყურადღებას იპყრობენ საზოგადოების მხრიდან, ყველაზე დიდ გავლენას მაინც მცირე ბიზნესი ახდენს, რადგან 2024 წლის სტატისტიკით, ამერიკული ბიზნესის 99.9% წარმოადგენს მცირე ბიზნესს. გარდა ამისა, ათწლეულების მანძილზე, ამერიკელი ხალხის უმეტესობა დასაქმებული იყო სწორედ

მცირე ბიზნესში. 1995 წლიდან 2021 წლამდე, მცირე ბიზნესმა შექმნა დაახლოებით 17.3 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი. ეს არის 1995 წლიდან შექმნილი წმინდა სამუშაო ადგილების 62.7%. მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე აშშ-ში დაახლოებით 33.2 მილიონი მცირე ბიზნესია რეგისტრირებული, სადაც 61.7 მილიონი ამერიკელია დასაქმებული, რაც მთლიან, კერძო ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 46.4% შეადგენს. კალიფორნიის შტატია ის ადგილი, სადაც დღეის მდგომარეობით, ყველაზე მეტი მცირე ბიზნესია რეგისტრირებული. ასევე, აშშ-ს ეკონომიკური აქტივობის 44%-ს მცირე ორგანიზაციები შეადგენენ და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 43.5%-იც სწორედ, მცირე ბიზნესის მიერ არის მიწოდებული (Gabrielle Carpenter & 'National Association of Women Business Owners'', 2024), (Jenny Chang, FinancesOnline Research Center, 2024), (U.S. Small Business Administration, 2023, გვ. 1-4).

SBA-ს (Small business administration) მონაცემებით, მცირე საწარმოები ყოველწლიურად ქმნიან 1.5 მილიონ სამუშაო ადგილს. ყოველწლიურად იზრდება მეწარმეობის დამწყების მსურველთა რიცხვი და მათ მიერ გაკეთებული განაცხადების რაოდენობა. 2022 წელთან შედარებით, 2023 წელს მეწარმეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი განაცხადების რაოდენობის 5%-იანი ზრდა დაფიქსირდა. 2019 წელსთან შედარებით კი, გასაოცარი, 52%-იანი ზრდა, რაც დიდი ალბათობით, განპირობებულია კოვიდ პანდემიის პერიოდში ამერიკის პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის მიერ შემუშავებული მხარდაჭერის პროგრამებით. SBA-ს (Small business administration) მონაცემებით, კოვიდ პანდემიის პერიოდში გაიხსნა 1.4 მილიონი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე დაწესებულება, ხოლო ფუნქციონირება შეწყვიტა 917 825-მა დაწესებულებამ (U.S. Small Business Administration, 2023, გვ. 1), (Gabrielle Carpenter & 'National Association of Women Business Owners'', 2024).

SBA-ს (Small business administration) იუწყება, რომ მცირე ბიზნესის თითქმის 50%-ი იწყება სახლში. მცირე ბიზნესის 60% მუშაობს პერსონალის გარეშე, საკუთარ სახლში. ყოველივე აქედან გამომდინარე, აშშ-ში 19 მილიონი მცირე ბიზნესი არის სახლში დაფუძნებული. წარმატების ყველაზე მაღალი მაჩვებელი აქვს ჯანდაცვის სექტორს. იგი წარმოადგენს იმ ბიზნეს კატეგორიას, სადაც პირველ წელს, ბიზნესების 60%-ი განაგრძობს ნორმალურად ფუნქციონირებას და ზრდას. რადგან მოგეხსენებათ, რომ მცირე ბიზნესების უმეტესობა, არსებობას პირველივე წელს წყვეტენ. რისი მიზეზიც ხშირად ან ფინანსური სახსრების დეფიციტი, ან მიღებული მაღალი უარყოფითი სალდოა (Gabrielle Carpenter & 'National Association of Women Business Owners'', 2024) (U.S. Small Business Administration, 2023, pp. 1-4).

ბიზნესის მართვა აშშ-ში ნამდვილად არ წარმოადგენს მარტივ საქმეს და იგი დაკავშირებულია უამრავ დაბრკოლებასთან და სირთულესთან. ამ დროისთვის, ინფლაცია რჩება ყველაზე დიდ გამოწვევად. მცირე ბიზნესის მფლობელთა 74%-ის განცხადებით, ინფლაცია მათი ნომერ პირველი საზრუნავია და ინფლაციის ზრდის გამო, მათი ხარჯები

წინა საანგარიშო წელთან შედარებით გაზრდილია, რაც შესაბამისად, მათ წლიურ მომგებიანობის ხარისხზეც უარყოფითად მოქმედებს. უახლესი სტატისტიკით, მცირე საწარმოების 21%, პირველივე წელს წყვეტს არსებობას. 28%, დაარსებიდან მეორე წლისთვის. 48% მეხუთე წლისთვის, ხოლო, 65% კი, მეათე წლისთვის. კვლევებით დგინდება, რომ საწარმოების წარუმატებლობის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია: პირველ რიგში, არაადეკვატური მენეჯმენტი, შემდეგ ცუდი მარკეტინგული სტრატეგიები, არაპროდუქციული ბიზნეს დაგეგმარება, ინოვაციურობის ნაკლებობა და ბოლოს, დაფინანსების სირთულებები. აშშ-ში მცირე ბიზნესის 16% ფინანსდება საბანკო კრედიტით (Gabrielle Carpenter & 'National Association of Women Business Owners'', 2024).

ცხრილი №3. აშშ-ში რეგისტრირებული მცირე ბიზნესების პროცენტული განაწილება საწარმოების და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით 2022 წლის მონაცემებზე დაყრდნობით (Board of Governors of the Federal Reserve System, 2022, გვ. 18)

კატეგორია	**საწარმოების რაოდენობა (%)**	**დასაქმებულთა რაოდენობა (%)**
1-4	56.6	10.7
5-9	19.1	10.9
10-19	12.1	13.9
20-99	10.3	34.7
100-499	1.8	29.7

*(**წყარო:** Board of Governors of the Federal Reserve System, Report to Congress – ''Availability of Credit to Small Businesses''. October 2022)*

ცხრილი №3 ასახავს კატეგორიების მიხედვით, მცირე ბიზნეს სექტორში რეგისტრირებული საწარმოების და დასაქმებული პირების პროცენტულ განაწილებას. სადაც ჩანს, რომ მცირე ბიზნეს სექტორში რეგისტრირებული საწარმოების უდიდესი ნაწილი არის მიკრო ბიზნესი, სადაც დასაქმებულ პირთა რაოდენობა 1-4 შეადგენს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ დასაქმების კუთხით ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი შეინიშნება მცირე ბიზნეს კატეგორიაში, სადაც დასაქმებულია 20-99 პირი.

კონგრესის თუ სხვა პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოების მიერ მცირე ბიზნესების განვითარების და ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებულია უამრავი პროგრამა. მათ შორის აღსანიშნავია: გაცემული ხელფასის დაცვის პროგრამა (PPP - Purchasing power parity), რომლის ფარგლებშიც, მცირე ბიზნესის მფლობელებს, გადასახდელი სესხების ჯამში, თითქმის 800 მილიარდი დოლარი ეპატიათ 2020-2021 წლებში, კოვიდ პანდემიის საპასუხოდ. აშშ-ს ეკონომიკაში მცირე ბიზნესის მნიშვნელოვანი როლის მიუხედავად, მათი დაფინანსება და კრედიტებზე წვდომა ხშირად დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს, რადგან არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ საწარმომ შეწყვიტოს ფუნქციონირება და კრედიტორები ამით მნიშვნელოვნად დაზარალდნენ. აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ

ცხადყო, რომ მცირე ბიზნესის 60% აქვს 50,000 დოლარზე ნაკლები ვალი, მაგრამ არის საწარმოები, რომლებსაც გაცილებით დიდი ვალდებულებები აქვს კრედიტორების წინაშე. მაგალითად, მცირე ბიზნეს სექტორში რეგისტრირებული საწარმოების 4%-ს აქვს დაახლოებით $500 000-დან $1 000 000-მდე ვალი. ხოლო, 9%-ს აქვს 1 მილიონ დოლარზე მეტი ვალდებულება. აშშ-ში მიმდინარე მდგომარეობით, მცირე ბიზნესისთვის სესხის 504 პროგრამა მოქმედებს. ისინი ფულადი სახსრების საჭიროებიდან გამომდინარე, იყენებენ დაკრედიტების სხვადასხვა ფორმებს. მცირე ბიზნესის კრედიტის მიმწოდებლებს შორის მოიაზრებიან: სადეპოზიტო დაწესებულებები - კომერციული ბანკები, შემნახველი ინსტიტუტები და საკრედიტო კავშირები, საფინანსო კომპანიები, არასაფინანსო ფირმები, ფიზიკური პირები, როგორიცაა: ოჯახის წევრები ან მეგობრები და ა.შ (Board of Governors of the Federal Reserve System, 2022, pp. 1-3).

კომერციული ბანკები მცირე ბიზნესისთვის გასცემს სესხებს, რომლის თავდაპირველი ოდენობა 1 მილიონი დოლარი ან ნაკლებია. ხოლო, მიკრო სესხების თავდაპირველი თანხა შეადგენს 100 000 დოლარს. კრედიტორი ბანკებისთვის კოვიდ პანდემიის პერიოდში, ვადაგადაცილებული სესხების ამოღების მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო PPP (Purchasing power parity - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი). კოვიდ პანდემიის პერიოდში, დაუფარავი სესხების 70%-ზე მეტი დაფინანსებული/დაფარული იყო სწორედ PPP-ის მიერ. რითაც სახელწიფომ ძალიან დიდი დახმარება გაუწია, როგორც მეწარმეებს, ასევე კრედიტორ ორგანიზაციებს. მცირე ბიზნესის დაფინანსების მეორე წყაროს წარმოადგენს შემნახველი დაწესებულებები, რომლებმაც მიმდინარე მონაცემებით, გასცეს 40 მილიარდ აშშ დოლარის სესხები მცირე ბიზნესის საქმიანობის დასაფინანსებლად და 7 მილიარდი აშშ დოლარი მიკრო სესხის სახით. გარდა ზემოაღნიშნული დაწესებულებებისა, მცირე ბიზნესის დაკრედიტებას ასევე აქტიურად ახორციელებს: საკრედიტო კავშირები, საფინანსო კომპანიები, რომელთა მიერ გაცემული სესხების რაოდენობა განსაკუთრებით მაღალი იყო 2018 წელს. ონლაინ კრედიტორების მიერ, პლატფორმების საშუალებით დაკრედიტებაც, ბოლო წლებში (ძირითადად კოვიდ პანდემიის პერიოდში) საკმაოდ აქტუალური გახდა აშშ-ში. მათ მიერ გაცემული სესხების რაოდენობამ პიკს მიაღწია 2019 წელს, როდესაც მცირე ბიზნესებისთვის სესხის სახით გაიცა დაახლოებით 15 მილიარდ დოლარი. ონლაინ კრედიტორების უპირატესობაა ის, რომ სესხის აღება მსესხებლების მიერ ხდება ყველაზე მარტივად და სწრაფად (Board of Governors of the Federal Reserve System, 2022, გვ. 33-46).

მცირე ბიზნესისთვის კრედიტზე ხელმისაწვდომობის მხარდასაჭერად მთავრობის ინიციატივები. ფედერალური მთავრობის მიერ, მუშავდება უამრავი ინიციატივა მცირე ბიზნესისთვის კრედიტზე ხელმისაწვდომობისთვის. მცირე ბიზნესის ადმინისტრაციას (SBA) შემუშავებული აქვს რამდენიმე დაკრედიტების პროგრამა, რომლებიც დიდწილად

ფოკუსირებულია მცირე ბიზნესის დაფინანსებაზე, საჭიროების შემთხვევაში (დაფინანსება ხდება იმ ბიზნესების, რომლებიც სხვა წყაროებიდან ვერ იღებენ კრედიტს, ან ბიზნესს ახორციელებენ ისეთ ტერიტორიაზე, სადაც სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, რთულია ბიზნესის წამოწყება და განვითრება). კოვიდ პანდემიის დროს. ამ პროგრამებიდან ყველაზე გამორჩეული იყო PPP (მსყიდველობით უნარის პარიტეტი). მაგრამ ასევე, მხარდამჭერი პროგრამები მოიცავს ეკონომიკურად, კატასტროფების და სხვა ბუნებრივი მოვლენების შედეგად დაზარალებული საწარმოებისთვის სესხების პროგრამას, ხელფასების დაცვის პროგრამას და ა.შ (Board of Governors of the Federal Reserve System, 2022, გვ. 47).

სახელმწიფო მხარდამჭერ პროგრამათა რიცხვს ასევე მიეკუთვნება საზოგადოების რეინვესტირების აქტი. აღნიშნული აქტი, კონგრესმა 1977 წელს აამოქმედა CRA (Community Reinvestment Act), მათი მიზანი იყო, ფედერალური სადაზღვევო სადეპოზიტო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა, რათა აღნიშნული დაწესებულებები შემდეგ დახმარებოდნენ თავიანთ ადგილობრივ მცირე ბიზნესებს, სესხის საჭიროების შემთხვევაში.

მცირე ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამები. სწორედ, აღნიშნული პროგრამის ფარგლებშია შექმილი მცირე ბიზნესისთვის ფულადი სახსრების მიწოდების ერთ-ერთი ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულება, მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (SBA), რომელიც კონგრესმა 1953 წელს შექმნა, რათა დიდი დახმარება გაეწია მეწარმეებისთვის წარმატებული მცირე ბიზნესის ჩამოყალიბებაში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, SBA-ს აქვს საგარანტიო სესხის პროგრამა, რომელიც კრედიტორებზე ნაწილობრივ გასცემს გარანტიას, მაგრამ ისინი უნდა აკმაყოფილებდენ SBA-მიერ შემუშავებულ პირობებს და მოთხოვნებს, უნდა ჰქონდეთ გონივრული ტარიფები და პირობები.

მცირე ბიზნესის ინტერვენციის პროგრამები. აღნიშნული პროგრამა იყო მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა მცირე ბიზნესისთვის, იქიდან გამომდინარე, რომ კოვიდ პანდემიის განმავლობაში, მან უზრუნველყო 968 მილიარდი დოლარის დახმარება მცირე ბიზნესისთვის. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აღსანიშნავი იყო: კოვიდ პანდემიისთვის მზადყოფნისა და რეაგირების დამატებითი ასიგნებების აქტი; კოვიდ პანდემიისგან დახმარების და ეკონომიკური უსაფრთხოების (CARES) აქტი; PPP და ჯანდაცვის გაძლიერების აქტი, ამერიკული სამაშველო გეგმა. გარდა ამისა, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მცირე ბიზნესის სესხებზე ხელმისაწვდომობის მხარდასაჭერად შეიმუშავა ორი მნიშვნელოვანი პროგრამა: PPPLF (''Paycheck Protection Program Liquidity Facility'' – ''ხელფასის დაცვის პროგრამის ლიკვიდურობის საშუალება'', რომლის ფარგლებშიც ავანსების სახით სულ გაიცა, 3.8 მილიარდი აშშ დოლარი) და MSLP (''Main Street Lending Program'' – ''მთავარი ქუჩის დაკრედიტების პროგრამა'', რომლის ფარგლებშიც გაიცა 7.9 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის სესხი). ორივე პროგრამა კოვიდ პანდემიის

პერიოდში, ახორციელებდა მცირე ბიზნესის დაკრედიტებას, რითაც ხელი შეეწყო უამრავი მცირე ბიზნესის გადარჩენას ლიკვიდაციისგან (Board of Governors of the Federal Reserve System, 2022, გვ. 47-61), (Federal Reserve System, 2023, pp. 1-5).

ტექნოლოგიის განვითარებადი ტენდენციების შენარჩუნებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომერციული წარმატებისა და ინოვაციისთვის. ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად ხშირად ვხვდებით გაურკვევლობებსაც. სწორედ, აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ''სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნულმა ინსტიტუტმა (NIST)'' შეიმუშავა ერთგვარი კიბერუსაფრთხოების ჩარჩო, ინფორმირებულობის ტრენინგ კურსი და სხვა უამრავი რესურსები, რათა მოხდეს მეწარმეების დახმარება რისკის მართვაში. აშშ-ს მთავრობა მცირე ბიზნესს ეხმარება ახალ, თანამედროვე ტექნოლოგიურ გარემოსთან ადაპტაციაში, ITA-ს (International Trade Administration) აქვს ელექტრონული/ციფრული კომერციის სასწავლო ტრენინგ კურსები. მათ შორის აღსანიშნავია, ITA-ს ''Stopfakes'' პროგრამა, რომელიც მეწარმეებს სთავაზობს ონლაინ ტრენინგებს, რათა ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაჭრან მარტივად, მცირე დროში (International Trade Administration, Tradeology the, 2023).

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და ვიცე-პრეზიდენტმა კამალა ჰარისმა, კოვიდ პანდემიისგან მცირე ბიზნესის დაცვის უამრავი პროგრამა შეიმუშავეს, რომელიც ცნობილია, როგორც ''ბაიდენ-ჰარისის მცირე ბიზნესის ბუმი''. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ჩემ მიერ ზემოთ მოხსენებულ მხარდაჭერის პროგრამებთან ერთად ასევე მოიაზრება CDFI (''Community development financial institution'') ფონდის კაპიტალიზირება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს:

- ✓ $5 მილიარდიან New Markets საგადასახადო საკრედიტოს პროგრამას და $355 მილიონი CDFI-ის ობლიგაციების გარანტიის პროგრამას;
- ✓ $27.5 მილიონიანი ჯილდოს, ტექნიკური დახმარების სახით 218 საწარმოსთვის და 1.73 მილიარდი დოლარის ოდენობის გრანტს 603 CDFI-სთვის (თანაბარი აღდგენის პროგრამა, რათა კრედიტორებიც არ დაზარალდნენ).
- ✓ $100 მილიონიან დაფინანსებას, სპეციალურად მცირე ბიზნესისთვის, ახალი პროცესების დანერგვის და ახალ ბაზარზე შესვლის მიზნით;
- ✓ განხორციელებულ $300 მილიონიან დაფინანსებას განვითარებად ტექნოლოგიებში, ინოვაციების დასაჩქარებლად და $140 მილიონიან დაფინანსებას, ახალი ბიზნესისა და სამეწარმეო აქტივობების გასაზრდელად.
- ✓ ასევე მოიცავს, ტრენინგ კურსებს. Community Navigator Pilot Program-მა უზრუნველყო 172 მილიონ დოლარზე მეტი ოდენობის დაფინანსება მეწარმეების კონპეტენციის გაღრმავებისთვის. 230,000-ზე მეტმა მეწარმემ ადგილობრივი საზოგადოების პარტნიორებით, გაიარა სამეწარმეო ტრენინგ კურსი და მიიღო კონსულტაციები,

რომლისთვისაც ჯამში, გამოიყო 78 500 საათზე მეტი. 2024 წლისთვის, პრეზიდენტის ბიუჯეტიდან, ჯამში 30 მილიონ აშშ დოლარი გამოიყო ტექნიკურ საკითხებში მხარდასაჭერად.

- ✓ მოიცავს SBDA-ის (Small Business Digital Alliance) პროგრამას, რომლის ფარგლებშიც, დაახლოებით 15 მილიონზე მეტ მცირე მეწარმეს მიეწოდა 300 უფასო ციფრული მოწყობილობა, რომლებიც აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს. SBDA–ის ამოქმედების დღიდან, მიმდინარე პერიოდამდე, აშშ-ს მცირე საწარმოების ორი მესამედი გახდა სრულად ციფრული. ელექტრონული კომერციის გაყიდვებმა 2022 წელს, 1 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა (The White House, Washington, 2023, pp. 4-16).

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის და დაფინანსების პროგრამებით აშშ-მ სახელი ნამდვილად გაითქვა მთელს მსოფლიოში. სწორედ ამ პროგრმების და მექანიზმების შედეგია ის, რომ კოვიდ პანდემიის კრიზისის ძალიან დიდი ზეგავლენა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოების უმეტესობამ გადალახა. გარდა ამისა, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად რეგისტრირებული მცირე ბიზნესის რაოდენობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი და ამის პარალელურად გაზრდილია დასაქმების მაჩვენებელიც (მცირე ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება მთლიან კერძო ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას).

აშშ-ს მაგალითიდან მცირე ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობის კუთხით სხვა ქვეყნებმა შესაძლოა გამოიყენონ მცირე ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამები, რომლის ფარგლებშიც შექმილია მცირე ბიზნესისთვის ფულადი სახსრების მიწოდების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაწესებულება, მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (SBA) და მათი დაკრედიტების პროგრამა, რომლებიც დიდწილად ფოკუსირებულია მცირე ბიზნესის დაფინანსებაზე, საჭიროების შემთხვევაში (დაფინანსება ხდება იმ ბიზნესების, რომლებიც სხვა წყაროებიდან ვერ იღებენ კრედიტს, ან ბიზნესს ახორციელებენ ისეთ ტერიტორიაზე, სადაც სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე რთულია ბიზნესის წამოწყება და განვითრება). ასევე აღსანიშნავია, ერთგვარი კიბერუსაფრთხოების ჩარჩოს შემუშავება, ინფორმირებულობის ტრენინგ კურსი და სხვა უამრავი რესურსი, რათა მოხდეს მეწარმეების დახმარება რისკის მართვაში, მცირე ბიზნესის დახმარება ახალ, თანამედროვე ტექნოლოგიურ გარემოსთან ადაპტაციაში, ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაჭრაში, მარტივად და რაც შეიძლება მოკლე დროში. რაც შეეხება სხვა პროგრამებს, აღნიშნული წარმოადგენს საკმაოდ ძვირადღირებულ პროგრამებს, რომლის განხორციელება მხოლოდ მაღალი ბიუჯეტის მქონე ქვეყნებში შეუძლიათ და მისი განხორციელების შესაძლებლობა ნაკლებად ეძლევათ განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც.

3. დასკვნა

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი, განვითარებად ქვეყნებში მცირე ბიზნეს სექტორის განვითარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას. ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ განხილული, მაღალ დონეზე განვითარებული სახელმწიფოების (გერმანია, დიდი ბრიტანეთი და აშშ) გამოცდილება მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის კუთხით, განსხვავებულია და არსებულ პრობლემებს ცალსახა გადაჭრის გზაც არ გააჩნია. ყველა ქვეყნის მთავრობას კარგად აქვს გააზრებული, ის ფაქტი, რომ კერძო ბიზნეს სექტორი (განსაკუთრებით კი, მცირე კერძო ბიზნეს სექტორი) ქვეყნის რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების და კეთილდღეობის გაზრდის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და ეფექტური საშუალებაა.

უცხოეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების შესწავლამ გვაჩვენა, რომ მცირე ბიზნეს სექტორის განვითარების, ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა კვლევის ობიექტ ქვეყნებში არის ფინანსურ რესურსებზე წვდომა. ქვეყნის ეკონომიკაში მათი მნიშვნელოვანი როლის მიუხედავად, მათი დაფინანსება და კრედიტებზე წვდომა ხშირად დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს, რადგან მცირე ბიზნესების უმეტესობა დაარსებიდან, პირველივე წელს განიცდის ლიკვიდაციას. მცირე ბიზნესს ძალიან დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნაში უმუშევრობის დონის შემცირებაში, სიღარიბის დონის დაძლევასა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში. კვლევის ობიექტი ქვეყნების მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების შესწავლით დადგინდა, რომ აღნიშნულ ქვეყნებში, კერძო ბიზნეს სექტორში რეგისტრირებული საწარმოების 99%-ზე მეტს აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი. ხოლო, კერძო ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ჯამური რაოდენობის 50%-ზე მეტი, სამივე ქვეყანაში მცირე ბიზნესზე მოდის. მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2030 წლისთვის, შეიქმნება 600 მილიონი სამუშაო ადგილი, რაც მცირე ბიზნესის განვითარებას კიდევ უფრო დიდ პრიორიტეტად აქცევს.

განხორციელებული კვლევის თანახმად, გერმანიას, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს საერთო აქვთ ის, რომ მცირე ბიზნესების დაფინანსება/დაკრედიტება სამივე ქვეყანაში ძირითადად ხდება ქვეყნაში მოქმედი კომერციული ბანკების, შემნახველი ინსტიტუტების, საკრედიტო კავშირების, საფინანსო კომპანიების, არასაფინანსო ფირმების (რომელსაც მთავრობები, მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, აძლევს გარანტიებს, რათა მეწარმეების მხრიდან კრედიტის სრულად დაუბრუნებლობის დროს კრედიტორებიც არ დაზარალდნენ) მეშვეობით. ასევე, მათი დაფინანსება ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სპეციალურად შექმნილი ფონდების კაპიტალით, ფიზიკური პირების მიერ და ა.შ.

სამივე კვლევის ობიექტი ქვეყნისთვის დამახასიათებელია დამწყები ან პოტენციური მეწარმეებისთვის საქმიანობის წამოწყების, ან სტაბილურად წარმართვის მიზნით სხვადასხვა სახის ხელშეწყობის პროგრამების შემოღება და დანერგვა, მათ შორის, განათლების დონის ამაღლების პროგრამების და სპეციალური დამსაქმებლთა ასოციაციების და ფედერაციების შექმნა. ასევე, ფოკუსირება ინოვაციაზე, კვლევასა და განვითარებაზე, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდის ერთ-ერთ ყველზე მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალაზე.

გერმანიის მთავრობამ სპეციალურად შექმნა დამსაქმებელთა ასოციაციები, რომელიც უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის დაფინანსების საკითხებს. გარდა ამისა, შეიქმნა მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ურთიერთთანამშრომლობისთვის თანამედროვე პროექტები, რომელიც მიზნად ისახავდა უკვე გამოცდილი მეწარმეების მხრიდან დამწყები მეწარმეებისთვის ცოდნის, გამოცდილების, რჩევების და რეკომენდაციების გაზიარებას. გერმანიის მსგავსად, დიდმა ბრიტანეთმა შექმნა სპეციალური სამთავრობო ორგანო, ''მცირე ბიზნესის მომსახურების სააგენტო'', რომლის ძირითად ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს, რომ ჩამოაყალიბოს მცირე ბიზნესის ზრდა-განვითრების მიმართულებები და ხელშემწყობი მექანიზმები/პროგრამები. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა გერმანიის და აშშ-ს მთავრობისგან განსხვავებით უზრუნველყოფს გადაუხდელი კრედიტის დეფოლტის 70%-ს, ხოლო, ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ბიზნესის კეთების ყველაზე ცუდი ტენდენციაა - 85%-ს.

გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის მსგავსად, აშშ-ს კონგრესის, თუ სხვა პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოების მიერ მცირე ბიზნესის განვითარების და ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა უამრავი პროგრამა. მათ შორის აღსანიშნავია: გაცემული ხელფასის დაცვის პროგრამა (PPP - Purchasing power parity), რომლის ფარგლებშიც, მცირე ბიზნესის მფლობელებს, გადასახდელი სესხების ჯამში, თითქმის 800 მილიარდი დოლარი ეპატიათ 2020-2021 წლებში კოვიდ პანდემიის საპასუხოდ. ასევე, აშშ-ში ფედერალური მთავრობის მიერ მცირე ბიზნესისთვის კრედიტზე ხელმისაწვდომობისთვის შეიქმნა მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (SBA), რომელმაც შეიმუშავა დაკრედიტების რამოდენიმე პროგრამა, რომლებიც დიდწილად ფოკუსირებულია მცირე ბიზნესის დაფინანსებაზე. მაგრამ არც გერმანიას და არც დიდ ბრიტანეთს არ ჰქონია მცირე ბიზნესების კოვიდ პანდემიისგან დაცვის მიზნით შექმნილი ისეთი მხარდამჭერი პროგრამები და მექანიზმები, როგორც აშშ-ს. აღნიშნული ეკონომიკურ ლიტერატურაში მოხსენიებულია, როგორც ''ბაიდენ ჰარისის მცირე ბიზნესის ბუმი''.

საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ შერჩეული კვლევის ობიექტი ქვეყნებიდან, განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე ბიზნეს სექტორის მიმართ აშშ-ს მხარდაჭერის/ხელშეწყობის მექანიზმები და პროგრამები, რომლის ძალიან დიდი

დამსახურებაა უამრავი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოს გადარჩენა ლიკვიდაციისგან, კოვიდ პანდემიის კრიზისულ პერიოდში. თუმცა, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების მიერ შემუშავებულმა პროგრამებმაც რა თქმა უნდა ძალიან დიდი როლი შეასრულა ქვეყანაში მცირე ბიზნეს სექტორის განვითრებასა და ამის შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

აღნიშნული კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების უცხოური გამოცდილების სისტემური ანალიზი. კვლევა აერთიანებს ფინანსური მხარდაჭერის სხვადასხვა ასპექტებს, მათ შორის: სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ინსტიტუციური მექანიზმები, ტექნოლოგიური მხარდაჭერა და ა.შ. ასევე დადგენილია, ზემოაღნიშნული მექანიზმების მოქმედების ეფექტი და გავლენა ქვეყანაში უმუშევრობის დონეზე, პროდუქტიულობაზე, ინოვაციებსა და ზოგად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, დეტალურად არის შესწავლილი სამი ეკონომიკურად მაღალ დონეზე განვითარებული ქვეყანა, გაკეთებულია მათი შედარებითი ანალიზი. სამივე ქვეყნის შემთხვევაში, განხორციელებული მექანიზმისთვის შექმნილია მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის მოდელი, რომელიც გვიჩვენებს კავშირს კონკრეტულ ღონისძიებებსა და მიღებულ შედეგებს შორის.

აღნიშნული კვლევის ძირითად მიგნებას წარმოადგენს, ახალი ცოდნა/თეორიული ხედვა, რომელსაც გვთავაზობს მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმების უცხოური გამოცდილება, საგადასახადო პოლიტიკა და თანამედროვე, ინოვაციური მიდგომები და რომელიც ნებისმიერ ქვეყანას დაეხმარება კრიზისული სიტუაციების დაძლევაში და რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ბიბლიოგრაფია

1. ბუკია ი. (2019). - ''*საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე''.* ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 1.
2. კურდღელია ნ. (2020). - *''მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი მიზნობრივი პროგრამები ევროკავშირის ქვეყნებში''. ''ბიზნესი და კანონმდებლობა''*, გვ. 86-89.
3. ჰერი ჰ. და ნეტეკოვენი ზ. (2019) - *''მცირე და საშუალო საწარმოების როლი განვითრების პროცესებში, გერმანული გამოცდილება (რისი სწავლა შეიძლება გერმანული გამოციდლებიდან?)''. ''ეკონომიკა და ფინანსები (ფრიდრიხ ებერტის ფონდი)''*, გვ. 11-30.
4. Carpenter G. (2024) - *‘’Small Business Statistics in 2024’’‘*. Retrieved from ’National Association of Women Business Owners’’, (https://nawbo.org).
5. Chang J. (2024) -*‘’63 Crucial Small Business Statistics for 2024: Data Analysis & Projections’’*. Retrieved from FinancesOnline Research Center (https://financesonline.com).
6. Hutton G. (2024) - "*Business statistics".* House Of Commons Library (commonslibrary.parliament.uk) & Research. Briefieng (https://researchbriefings.files.parliament.uk).
7. Masurashvili I., Hofbauer G. (2020) - "The Economic Development Vector for SMEs in Germany and Georgia". *ResearchGate*, Pp. 1-2.
8. Pepin S. (2024) - *"Support for small businesses"*, House Of Commons Library (commonslibrary.parliament.uk).
9. Board of Governors of the Federal Reserve System, *Report to Congress* (2022) - *"Availability of Credit to Small Business.* Board of Governors of the Federal Reserve System.
10. Board of Governors of the Federal Reserve System (2023) - "Periodic Report: Update on Outstanding Lending Facilities Authorized by the Board under Section 13(3) of the Federal Reserve Act".
11. Department for Business and Trade (2023) - "*Business population estimates for the UK and regions 2023: statistical release".* (https://www.gov.uk).
12. European Comision (2024) - "*2024 SME Country Fact Sheet - Germany".* (https://commission.europa.eu).
13. International Trade Administration, Tradeology the official blog of ITA (2023) - *‘’Small, but Mighty: How the U.S. Government Helps Small Businesses Succeed Internationally’’*. Retrieved from International Trade Administration, Tradeology the official blog of ITA, (https://blog.trade.gov).
14. OECD (Organisation for Economic Co-operation and Development) (2024) - "*Financing SME Growth in Germany".* OECD SME and Entrepreneurship Papers No. 61.
15. OECD (Organisation for Economic Co-operation and Development) (2024) - "*Financing SMEs and Entrepreneuers 2024", (An OECD Scoreboard),* OECD iLibrary (https://www.oecd-ilibrary.org).
16. U.S. Small Business Administration (2023) - *"2023 Small Business Profile".*
17. The White House, Washington (2023) - *“Building on the Biden-Harris Small Business Boom.”*. The White House, Washington; (https://www.whitehouse.gov).
18. World Bank Group (2019) - "*Small and Medium Enterprises (SMEs) Finance".*